

ბრძანება №01-41/ნ
2014 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების პროგრამების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების მეთოდისა (დანართი №1);

ბ) ოპიოიდების ჩამონათვალი (დანართი №2);

გ) ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობისათვის ნებადართული ფარმაცევტული პროდუქტების ჩამონათვალი (დანართი №3).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოპიოიდური ნარკომანიის დროს ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 იანვრის №37/ნ ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-5 დღეს.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

დანართი №1

ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების მეთოდისა

მუხლი 1. ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების მეთოდის შექმნის საფუძველი და მოქმედების სფერო

ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების მეთოდისა (შემდგომში - ჩანაცვლებითი მკურნალობა) იქმნება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე და არეგულირებს ჩანაცვლებით მკურნალობას საქართველოში.

მუხლი 2. ჩანაცვლებითი მკურნალობა და მისი სახეები

1. ჩანაცვლებითი მკურნალობა არის ნარკოტიკული დამოკიდებულების მკურნალობა ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების - ფარმაცევტული პროდუქტის (შემდგომში - ფარმაცევტული პროდუქტი) გამოყენებით, რომელსაც გააჩნია ჯვარედინი დამოკიდებულება და ჯვარედინი ტოლერანტობა იმ ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ, რომლის მიმართ განვითარებულია დამოკიდებულების სინდრომი.

2. ოპიოიდური დამოკიდებულება წარმოადგენს სხვადასხვა ინტენსივობის ფიზიოლოგიური, ქცევითი და კოგნიტური ფუნქციების ერთობლიობას, რომელიც, ობიექტურად ინდივიდის ინტერესის საწინააღმდეგოდ, ხასიათდება ოპიოიდის მიღების მაღალი პრიორიტეტით, რაც ნარკომანიის ფორმირების ძირითად კომპონენტად გვევლინება. ოპიოიდებზე დამოკიდებულება განისაზღვრება ამ ბრძანებით დამტკიცებულ N2 დანართში მითითებულ ერთ-ერთ რომელიმე ნივთიერებაზე ან მის



შემადგენელ ნაწილზე დამოკიდებულება.

3. ოპოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი მკურნალობისათვის ნებადართული ფარმაცევტული პროდუქტის ჩამონათვალი განისაზღვრება N3 დანართის შესაბამისად.

4. ჩანაცვლებითი მკურნალობის სახეებია:

ა) ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე დეტოქსიკაცია – ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის კლებითი დოზებით მკურნალობა არაუმეტეს ერთი თვის განმავლობაში;

ბ) ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანგრძლივი დეტოქსიკაცია – ჩამანაცვლებელი პრეპარატის კლებითი დოზებით მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადის განმავლობაში;

გ) ხანმოკლე ჩანაცვლებითი მკურნალობა – ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის სტაბილური დოზებით მკურნალობა 6 თვემდე ვადით;

დ) ხანგრძლივი ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობა – ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის სტაბილური დოზებით მკურნალობა 6 თვეზე მეტი ვადით;

ე) განსაკუთრებულ შემთხვევებში სტაციონარული მკურნალობა ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენებით.

მუხლი 3. ჩანაცვლებითი მკურნალობის მიზნები და ამოცანები

ჩანაცვლებითი მკურნალობის მიზნები და ამოცანებია:

ა) ოპოიდური დამოკიდებულებით დაავადებულ პირთა სომატური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოციალური ადაპტაცია, საზოგადოებაში რეინტეგრაცია;

ბ) აივ-ინფექცია/შიდსის, ჰეპატიტებისა და სისხლის გზით გადამდები სხვა დაავადებების გავრცელების პრევენცია;

გ) ჩანაცვლებითი მკურნალობისა და სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის გზით პაციენტებში რემისიის მდგომარეობის მიღწევა;

დ) ოპოიდებზე დამოკიდებულ პირთა მიერ ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარების შეწყვეტა/შემცირება, არალეგალური ნარკოტიკების/ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შეწყვეტა/შემცირება და მათი ფსიქოსომატური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ე) ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართულ პირთა საზოგადოებრივი საშიშროების რისკის შემცირება.

მუხლი 4. ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა

1. ჩანაცვლებითი მკურნალობის ფინანსირება ხორციელდება როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი, საქველმოქმედო და კერძო რესურსებით. მკურნალობის ანაზღაურების ოდენობა დგინდება კონკრეტული პროგრამის ფორმატის გათვალისწინებით.

2. დაწესებულების ხელმძღვანელობა ვალდებულია პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში (სამუშაო საათებში), სამედიცინო პერსონალისა და სამკურნალო საშუალების უსაფრთხოების მიზნით, დაწესებულება უზრუნველყოს შესაბამისი დაცვით.

3. ჩანაცვლებითი მკურნალობის განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ იქმნება სამედიცინო - საკონსულტაციო კომისია (შემდგომში – სსკ).

4. ჩანაცვლებითი პროგრამების მართვის ეფექტური განხორციელებისათვის, განსაკუთრებულ შემთხვევათა განხილვის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება ჩანაცვლებითი



პროგრამების მართვის განხორციელების ზედამხედველობის საბჭო (შემდგომში - ზედამხედველობის საბჭო), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ნარკომანიისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრის, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელ ექსპერტთა წარმომადგენლებით. ზედამხედველობის საბჭო, უფლებამოსილია, ცალკეული საკითხების დამუშავების პროცესში, მოიწვიოს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

მუხლი 5. ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში პაციენტთა ჩართვის საფუძველი და კრიტერიუმები

1. ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში პაციენტთა ჩართვის საფუძველია

ოპიოიდებზე დამოკიდებულების სინდრომის (აქტიური დამოკიდებულება) დიაგნოზისა და მასთან ერთად ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ კრიტერიუმთაგან არანაკლებ ერთ-ერთის არსებობა.

2. კრიტერიუმები:

ა) არანაკლებ 21 წლის ასაკი;

ბ) ოპიოიდების ინექციური მოხმარება;

გ) აივ/ინფიცირება, შიდსით დაავადება;

დ) ორსულობა;

ე) მიგრანტი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც გამომგზავრების მომენტისთვის ჩართული იყო უცხოეთში ჩანაცვლებით პროგრამებში (მათი მომსახურებისა და ანაზღაურების ფორმა და წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);

ვ) სხვა, განსაკუთრებული სამედიცინო ან/და სოციალური ჩვენების შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თანხმობით;

ზ) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირი, გათავისუფლებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში, რომელიც გათავისუფლების მომენტისთვის ჩართული იყო ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში.

3. პაციენტი ერთდროულად არ შეიძლება იყოს ჩართული ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამის განმახორციელებელ ორ ან მეტ დაწესებულებაში.

მუხლი 6. პაციენტთა ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართვის წესი

1. პაციენტის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართვა ხორციელდება სსკ-ის გადაწყვეტილებით, თუკი პაციენტი აკმაყოფილებს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში პაციენტის ჩასართავად მოქალაქის განცხადების საფუძველზე, სსკ განიხილავს პროგრამაში მისი ჩართვის მიზანშეწონილობას და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

3. განცხადებას თან უნდა ახლდეს პაციენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა), ხოლო მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში – შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.



4. პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, პაციენტსა და დაწესებულებას შორის ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ. ხელშეკრულების ფორმას დაწესებულება ათანხმებს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრთან.

5. ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამებში პაციენტთა ჩართვა ხორციელდება შესაბამისი პროგრამების მოცულობის ფარგლებში.

მუხლი 7. ჩანაცვლებითი მკურნალობის განხორციელება

1. პაციენტის მკურნალობა წარმოებს მისი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, რომელსაც საზღვრავს მკურნალი ექიმი და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას აწვდის პაციენტს.

2. ჩანაცვლებითი ფარმაცევტული პროდუქტის საწყისი დოზის განსაზღვრა ხორციელდება მკურნალი ექიმის მიერ და მტკიცდება სსკ-ს მიერ.

3. პაციენტის მიერ ჩანაცვლებითი ფარმაცევტული პროდუქტის მიღება დაწესებულებაში ხორციელდება სამედიცინო პერსონალის კონტროლის ქვეშ.

4. ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართული პაციენტის სხვა სტაციონარში სამკურნალოდ მოხვედრის შემთხვევაში, პაციენტი ან მისი წარმომადგენელი მიმართავს დაწესებულების ხელმძღვანელობას და აცნობებს, რომ იგი არის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მოსარგებლე. სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელობა ვალდებულია არაუგვიანეს 24 საათისა აცნობოს პაციენტის სტაციონარში მოხვედრის შესახებ დაწესებულებას და მიაწოდოს მას ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა).

5. დაწესებულება ვალდებულია სტაციონარის შესაბამის განყოფილებას გადასცეს სამკურნალო საშუალების ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია პაციენტის სტაციონარში მკურნალობის პერიოდში. გადასაცემი სამკურნალო საშუალების რაოდენობა ისაზღვრება პაციენტის ინდივიდუალური დოზისა და მისი სტაციონარში დაყოვნების საჭიროების მიხედვით. მკურნალი ექიმი-ნარკოლოგის მიერ პაციენტის სტაციონარულ სამედიცინო ბარათში უნდა დაფიქსირდეს შესაბამისი კონსულტაცია და რეკომენდაცია, სადაც მითითება სამკურნალო საშუალების დასახელება, ფორმა და დანიშნული დოზა.

6. სტაციონარი ვალდებულია გააფორმოს მიმწოდებელთან სამკურნალო საშუალების გადაცემა-მიღებაზე მიღება-ჩაბარების აქტი, დადგენილი წესის შესაბამისად.

7. სტაციონარის განყოფილება ვალდებულია შემოსავალში აიყვანოს პაციენტისათვის განკუთვნილი სამკურნალო საშუალება და კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს მისი აღრიცხვა, შენახვა, სამედიცინო დოკუმენტაციაში გაფორმება, გაცემა და საჭიროების შემთხვევაში განადგურება.

8. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ნარკოლოგიურ დაწესებულებაში გამოცხადების დადასტურებული შეუძლებლობის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, პაციენტისთვის კუთვნილი ულუფის, მაქსიმუმ 2 დღის ოდენობის, მიწოდება ხორციელდება პროგრამის თანამშრომლის, ოჯახის წევრის, მინდობილი პირის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ (უფლებამოსილი პირის განცხადებისა და სსკ-ის გადაწყვეტილების საფუძველზე). განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბინაზე ხანგრძლივად მკურნალობისას (2 თვეზე მეტი პერიოდი) გამონაკლისის სახით ხორციელდება პაციენტისთვის კუთვნილი ულუფის, მაქსიმუმ, 5 დღის მარაგის ოდენობის მიწოდება. ბინაზე მიწოდება შესაძლებელია გაგრძელდეს დაავადების დიაგნოზის შესაბამისად საჭიროების პერიოდში. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ტუბერკულოზის ბაქტერიაგამომყოფი აქტიური ფორმით დაავადებულ პირებზე შესაძლებელია ერთდროულად გაიცეს 7 დღის მარაგის ოდენობა.

9. პაციენტის ქვეყნის შიგნით გადაადგილების მიზეზის დასაბუთებულ შემთხვევაში, სსკ-ს აქვს უფლება ხელზე გაატანოს სამკურნალო საშუალება არა უმეტეს 4 დღის დოზისა.

10. პაციენტის ქვეყნის შიგნით ხანგრძლივი (არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა) გადაადგილების



შემთხვევაში, პაციენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, პროგრამის მიმწოდებელი დაწესებულების (განყოფილების) ხელმძღვანელის მიერ გაიცემა მიმართვა, რომელსაც პაციენტი წარადგენს მისი სავარაუდო ადგილსამყოფელის ტერიტორიული ერთეულის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამის მიმწოდებელ უახლოეს დაწესებულებაში (განყოფილებაში).

11. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ჩანაცვლებითი მკურნალობის მიმწოდებელ დაწესებულებებს შორის ფორმდება წინასწარი ხელშეკრულება ჩანაცვლებითი მკურნალობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით. მიმწოდებელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გაწეული მომსახურების ანგარიშსწორების სათანადო დოკუმენტაცია წარედგინება სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელს.

12. ქვეყნიდან პროგრამის მოსარგებლის გასვლის შემთხვევაში დასაშვებია მას ხელზე გაეცეს ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალება, რომლის ოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების კონტროლი

1. პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით, პერიოდულად (არანაკლებ თვეში ერთხელ) ტარდება თითოეული პაციენტის ბიოლოგიური მასალის მოულოდნელი გადამოწმება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველობაზე, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. პაციენტის სხვა სტაციონარში ან ბინაზე მკურნალობის შემთხვევაში მისთვის ანალიზის ჩატარების (არანაკლებ სამ თვეში ერთხელ) სიხშირე და მიზანშეწონილობა დგინდება მკურნალი ექიმის მიერ.

მუხლი 9. ჩანაცვლებითი მკურნალობის კურსის დასრულება

ჩანაცვლებითი მკურნალობის გეგმური დასრულება ხორციელდება მკურნალი ექიმის გადაწყვეტილებით და პაციენტთან შეთანხმებით. მკურნალი ექიმის გადაწყვეტილებით, პაციენტს შესაძლოა გაუფორმდეს ერთთვიანი შესვენება გამოცდის სახით. დაწესებულების (განყოფილების) ხელმძღვანელობა ვალდებულია უზრუნველყოს ამ პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, სსკ-ს გადაწყვეტილების საფუძველზე პაციენტის შეუფერხებელი შემობრუნება პროგრამაში.

მუხლი 10. ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობის შეწყვეტა

1. ჩანაცვლებითი მკურნალობის არაგეგმური შეწყვეტა შესაძლებელია გამოწვეული იყოს პაციენტის მოთხოვნით, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ან პროგრამიდან გარიცხვით.

2. პროგრამიდან გარიცხვის კრიტერიუმებია:

ა) პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ექიმის დანიშნულების გარეშე მიღების ფაქტები;

ბ) დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევა;

გ) სამედიცინო პერსონალის მიმართ არაკორექტული მოქცევა;

დ) თვეში 5 არასაკმაყოფილო გაცდენა.

3. ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევების პირველ შემთხვევაში პაციენტს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება მოსალოდნელი შედეგის შესახებ მკურნალი ექიმის მიერ. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში სსკ განიხილავს პაციენტის პროგრამიდან გარიცხვის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი პროგრამიდან გარიცხვის ან/და მკურნალობის გაგრძელების შესახებ.

4. განსაკუთრებით უხეში დარღვევის შემთხვევაში (პერსონალის ან სხვა პაციენტთა მიმართ უხეში მოქცევა, ჩამანაცვლებელი პრეპარატის დაწესებულებიდან გატანის მცდელობა, პრეპარატის



მიღებასთან დაკავშირებული დადგენილი წესის დარღვევა) პაციენტი შესაძლოა გარიცხულ იქნეს პროგრამიდან პირველივე დარღვევის შემდგომ, სსკ -ს გადაწყვეტილებით.

5. სსკ-ს მიერ პაციენტის პროგრამიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მას ეძლევა უფლება ჩაიტაროს მოკლევადიანი (არაუმეტეს 14 დღიანი) დეტოქსიკაციის კურსი. აღნიშნული უფლების გამოყენებისას პაციენტი პროგრამიდან გარიცხულად ითვლება დეტოქსიკაციის კურსის დასრულებისთანავე.

მუხლი 11. ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიღების, შენახვის აღრიცხვის, გაცემისა და განადგურების წესები

ჩანაცვლებითი მკურნალობის მიმწოდებელი დაწესებულების მიერ ფარმაცევტული პროდუქტის მიღება, შენახვა, აღრიცხვა, გაცემა და განადგურება წარმოებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №2

ოპიოიდების ჩამონათვალი

№	ნივთიერების დასახელება	ქიმიური დასახელება
1	3-მეთილთიოფენტანილი 3-METHYLTHIOFENTANYL	N-[3-methyl-1-[2-(2-thienyl)ethyl]-4-piperidyl] propionanilide
2	3-მეთილფენტანილი 3-METHYLFENTANYL	N-(3-methyl-1-phenethyl-4-piperidyl)propionanilide
3	ალფამეთადოლი ALPHAMETHADOL	α-6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanol
4	ალფა-მეთილ-4-მეთილთიოფენტილამინი 4-MTA	α-methyl-4-methylthiophenethylamine
5	ალფა-მეთილთიოფენტანილი ALPHA-METHYLTHIOFENTANYL	N-[1-[1-methyl-2-(2-thienyl)ethyl]-4-piperidyl] propionanilide
6	ალფა-მეთილფენტანილი ALPHA-METHYLFENTANYL	N-[1-(α-methylphenethyl)-4-piperidyl]propionanilide
7	ალფამეპროდინი ALPHAMEPRODINE	α-3-ethyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine
8	ალფაცეტილმეთადოლი ALPHACETYLMETHADOL	α-3-acetoxy-6-dimethylamino-4,4-diphenylheptane
9	აცეტილ-ალფა-მეთილფენტანილი ACETYL-ALPHA-METHYLFENTANYL	N-[1-(α-methylphenethyl)-4-piperidyl]acetanilide
	აცეტილმეთადოლი	



10	ACETYLMETHADOL	3-acetoxy-6-dimethylamino-4,4-diphenylheptane
11	აცეტორფინი ACETORPHINE	3-O-acetyltetrahydro-7 α -(1-hydroxy-1-methylbutyl)-6,14-endo-ethenoripavine (derivative of thebaine) (თებაინის წარმოებული)
12	ბეზიტრამიდი BEZITRAMIDE	1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-(2-oxo-3-propionyl-1-benzimidazoliny) piperidine
13	ბენზეთიდინი BENZETHIDINE	1-(2-benzyloxyethyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester
14	ბენზილმორფინი BENZYL MORPHINE	3-benzylmorphine
15	ბეტამეთადოლი BETAMETHADOL	β -6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanol
16	ბეტამეპროდინი BETAMEPRODINE	β -3-ethyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine
17	ბეტაპროდინი BETAPRODINE	β -1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine
18	ბეტაცეტილმეთადოლი BETACETYLMETHADOL	β -3-acetoxy-6-dimethylamino-4,4-diphenylheptane
19	ბეტა-ჰიდროქსი-3-მეთილფენტანილი BETA-HYDROXY-3-METHYLFENTANYL	N-[1-(β -hydroxyphenethyl)-3-methyl-4-piperidyl]propionanilide
20	ბეტა-ჰიდროქსიფენტანილი BETA-HYDROXYFENTANYL	N-[1-(β -hydroxyphenethyl)-4-piperidyl]propionanilide
21	დეზომორფინი DESOMORPHINE	Dihydrodesoxymorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
22	დიამპრომიდი DIAMPROMIDE	N-[2-(methylphenethylamino)-propyl]propionanilide
23	დიმეფეპტანოლი DIMEPHEPTANOL	6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanol
	დიჰიდროეტორფინი	7,8-dihydro-7 α -[1-(R)-hydroxy-1-methylbutyl]-6,14-endo-ethanotetrahydrooripavine



24	DIHYDROETORPHINE	(derivative of etorphine) (ეტორფინის წარმოებული)
25	დიჰიდრომორფინი DIHYDROMORPHINE	(derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
26	ეთილმეთილთიამბუტენი ETHYLMETHYLTHIAMBUTENE	3-ethylmethylamino-1,1-di-(2'-thienyl)-1-butene
27	ეტონიტაზენი ETONITAZENE	1-diethylaminoethyl-2-p-ethoxybenzyl-5-nitrobenzimidazole
28	ეტორფინი ETORPHINE	tetrahydro-7 α -(1-hydroxy-1-methylbutyl)-6,14-endo-ethenooripavine (derivative of thebaine) (თებაინის წარმოებული)
29	თიოფენტანილი THIOFENTANYL	N-[1-[2-(2-thienyl)ethyl]-4-piperidyl]propionanilide
30	იზომეტადონი ISOMETHADONE	6-dimethylamino-5-methyl-4,4-diphenyl-3-hexanone
31	კეტობემიდონი KETOBE MIDONE	4-m-hydroxyphenyl-1-methyl-4-propionylpiperidine
32	კოდოქსიმი CODOXIME	dihydrocodeinone-6-carboxymethyl oxime (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული)
33	ლევომეტორფანი LEVOMETHORPHAN	(-)-3-methoxy-N-methylmorphinan
34	ლევომორამიდი LEVOMORAMIDE	(-)-4-[2-methyl-4-oxo-3,3-diphenyl-4-(1-pyrrolidinyl)butyl]morpholine
35	ლევოფენაცილმორფანი LEVOPHENACYLMORPHAN	(-)-3-hydroxy-N-phenacilmorphinan
36	მეთადონის სინთეზის შუალედური პროდუქტი METHADONE INTERMEDIATE	4-cyano-2-dimethylamino-4,4-diphenylbutane
37	მეთილდეზორფინი METHYLDESORPHINE	6-methyl- Δ 6-deoxymorphine (derivative of morphine)



		(მორფინის წარმოებული)
38	მეთილდიჰიდრომორფინი METHYLDIHYDROMORPHINE	6-methyldihydromorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
39	მეტაზოცინი METAZOCINE	2'-hydroxy-2,5,9-trimethyl-6,7-benzomorphan
40	მეტოპონი METOPON	5-methyldihydromorphinone (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
41	მიროფინი MYROPHINE	Myristylbenzylmorphine (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული)
42	მორამიდის სინთეზის შუალედური პროდუქტი MORAMIDE INTERMEDIATE	2-methyl-3-morpholino-1,1-diphenylpropane carboxylic acid
43	მორფერიდინი MORPHERIDINE	1-(2-morpholinoethyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester
44	მორფინ-N-ოქსიდი MORPHINE-N-OXIDE	(derivate of morphine) (მორფინის წარმოებული)
45	მორფინის მეთობრომიდი და მორფინის სხვა ხუთვალენტური აზოტური წარმოებულები, მათ შორის, მორფინ-N-ოქსიდის წარმოებულები, რომელთაგან ერთ-ერთი N-ოქსი-კოდეინია MORPHINE METHOBROMIDE AND OTHER PENTAVALENT NITROGEN MORPHINE DERIVATIVES INCLUDING IN PARTICULAR THE MORPHINE-N-OXIDE DERIVATIVES, ONE OF WHICH IS CODEINE-N-OXIDE	
46	მგპპ MPPP	1-methyl-4-phenyl-4-piperidinol propionate (ester)
47	ნორაციმეთადოლი NORACYMETHADOL	(±)-α-3-acetoxy-6-methylamino-4,4-diphenylheptane
48	ნორლევორფანოლი NORLEVORPHANOL	(-)-3-hydroxymorphinan
49	ნორმორფინი NORMORPHINE	demethylmorphine (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული)



50	ოდტ * ODT	o-desmethyltramadol
51	ოპიუმი (ამფიონი) OPIUM	The coagulated juice of the opium poppy (plant species Papaver somniferum L.) დამამძინებელი ყაყაჩოს (მცენარე Papaver somniferum L) შედედებული რძეწვენი
52	ოპიუმი ექსტრაქციული, მათ შორის: ა) ნარკოტიკული საშუალებების (მორფინი, კოდეინი, თებაინი, ორიპავინი) შემცველი ნებისმიერი სახეობის მცენარიდან წყლიანი გამონაწვლილი, გამონახარში, გამონაცემი, ნაყენი ან ამოქროლების შედეგად მიღებული მშრალი ნაშთი; ბ) დამამძინებელი ყაყაჩოსგან ნებისმიერი გზით მიღებული, ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდები; გ) ყაყაჩოს ნაშვისგან კუსტარულად დამზადებული ნებისმიერი პრეპარატი	
53	ოპიუმის ექსტრაქტი (EXTRACT OPIUM)	
54	ოპიუმის ნაყენი (TINCTURA OPII)	
55	ოქსიმორფონი OXYMORPHONE	14-hydroxydihydromorphinone (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული)
56	პარა-ფლუოროფენტანილი PARA-FLUOROFENTANYL	4'-fluoro-N-(1-phenethyl-4-piperidyl)propionanilide
57	პეთიდინის სინთეზის შუალედური პროდუქტი A PETHIDINE INTERMEDIATE A	4-cyano-1-methyl-4-phenylpiperidine
58	პეთიდინის სინთეზის შუალედური პროდუქტი B PETHIDINE INTERMEDIATE B	4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester
59	პეთიდინის სინთეზის შუალედური პროდუქტი C PETHIDINE INTERMEDIATE C	1-methyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid
	პეპაპ	1-phenethyl-4-phenyl-4-piperidinol acetate (ester)



60	PEPAP	
61	პიმინოდინი PIMINODINE	4-phenyl-1-(3-phenylaminopropyl)piperidine-4-carboxylic acid ethyl ester
62	პროპერიდინი PROPERIDINE	1-methyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid isopropyl ester
63	პროპეტაზინი PROHEPTAZINE	1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxyazacycloheptane
64	რაცემეთორფანი RACEMETHORPHAN	(±)-3-methoxy-N-methylmorphinan
65	რაცემორამიდი RACEMORAMIDE	(±)-4-[2-methyl-4-oxo-3,3-diphenyl-4-(1-pyrrolidinyl)butyl]morpholine
66	ფენამპრომიდი PHENAMPROMIDE	N-(1-methyl-2-piperidinoethyl)propionanilide
67	ფენომორფანი PHENOMORPHAN	3-hydroxy-N-phenethylmorphinan
68	ფენოპერიდინი PHENOPERIDINE	1-(3-hydroxy-3-phenylpropyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester
69	ფურეთიდინი FURETHIDINE	1-(2-tetrahydrofurfuryloxyethyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester
70	ყაყაო დამამინებელი PAPAVER SOMNIFERUM	
71	ყაყაოს ნამჯა POPPY STRAW	all parts(except the seeds) of the opium poppy, after mowing მოცელილი დამამინებელი ყაყაოს ყველა ნაწილი, გარდა ყაყაოს თესლებისა
72	ყაყაოს ნამჯის კონცენტრატი CONCENTRATE OF POPPY STRAW	the material arising when poppy straw has entered into a process for the concentration of its alkaloids when such material is made available in trade, ("Poppy straw": all parts (except the seeds) of the opium poppy, after mowing) (მასალა, რომელიც მიიღება ყაყაოს ნამჯისაგან მაშინ, როცა ყაყაოს ნამჯა განიცდის მასში შემავალი ალკალოიდების კონცენტრირების პროცესს, თუ ეს მასალა ხდება ვაჭრობის საგანი)
73	ყაყაოს ნამჯის ექსტრაქტი EXTRACT OF POPPY STRAW	დამამინებელი ყაყაოს ნამჯისგან ნებისმიერი გზით მიღებული, ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდები, აგრეთვე ყაყაოს ნამჯისგან კუსტარულად დამზადებული ნებისმიერი პრეპარატი



74	ყაყაზოს (დამამინებელი ყაყაზოს) ნებისმიერი სახის ნაყენი და რძეწვენი THE COAGULATED JUICE AND TINCTURS OF POPPY STRAW	
75	ყველა იმ სახეობის ყაყაზო და მისგან მომზადებული პროდუქტი, რომელიც არ არის დამამინებელი ყაყაზო, მაგრამ შეიცავს ამ სიაში მითითებულ ნარკოტიკულ საშუალებას	
76	ჰეროინი HEROIN	diacetylmorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
77	ალილპროდინი ALLYLPRODINE	3-allyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine
78	ალფაპროდინი ALPHAPRODINE	α -1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine
79	ალფენტანილი ALFENTANIL	N-[1-[2-(4-ethyl-4,5-dihydro-5-oxo-1H-tetrazol-1-yl)ethyl]-4-(methoxymethyl)-4-piperidiny]-N-phenylpropanamide
80	აცეტილდიჰიდროკოდეინი ACETYLDIHYDROCODEINE	(derivative of codein) (კოდეინის წარმოებული)
81	ბუპრენორფინი BUPRENORPHINE	21-cyclopropyl-7- α -[(S)-1-hydroxy-1,2,2-trimethylpropyl]-6,14-endo-ethano-6,7,8,14-tetrahydrooripavine
82	ბუტორფანოლი BUTORPHANOL	17-cyclobutylmethyl-morphinan-3,14-diol
83	დექსტრომორამიდი DEXTROMORAMIDE	(+)-4-[2-methyl-4-oxo-3,3-diphenyl-4-(1-pyrrolidinyl)butyl]morpholine (dextro-rotatory isomer of moramide) (მორამიდის მარჯვნივ მბრუნავი იზომერი)
84	დექსტროპროპოქსიფენი DEXTROPROPOXYPHENE	α -(+)-4-dimethylamino-1,2-diphenyl-3-methyl-2-butanol propionate (Dextro-rotary isomer of propoxyphene) (პროპოქსიფენის მარჯვნივ მბრუნავი იზომერი)
85	დიეთილთიამბუტენი DIETHYLTHIAMBUTENE	3-diethylamino-1,1-di-(2'-thienyl)-1-butene
86	დიმეთილთიამბუტენი DIMETHYLTHIAMBUTENE	3-dimethylamino-1,1-di-(2'-thienyl)-1-butene



87	დიმენოქსადოლი DIMENOXADOL	2-dimethylaminoethyl-1-ethoxy-1,1-diphenylacetate
88	დიოქსაფეტვილ ბუტირატი DIOXAPHETYL BUTYRATE	ethyl-4-morpholino-2,2-diphenylbutyrate
89	დიპიპანონი DIPIPANONE	4,4-diphenyl-6-piperidine-3-heptanone
90	დიფენოქსილატი DIPHENOXYLATE	1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester
91	დიფენოქსინი DIFENOXIN	1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-phenylisonipecotic acid
92	დიჰიდროკოდეინი DIHYDROCODEINE	(derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
93	დროტებანოლი DROTEBANOL	3,4-dimethoxy-17-methylmorphinan-6β,14-diol
94	ეთილმორფინი ETHYLMORPHINE	3-ethylmorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
95	ეტოქსერიდინი ETOXERIDINE	1-[2-(2-hydroxyethoxy)-ethyl]-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester
96	თებაინი THEBAINE	(an alkaloid of opium; also found in Papaver bracteatum) (ოპიუმის ალკალოიდი; მას აგრეთვე შეიცავს მცენარე Papaver bracteatum)
97	თებაკონი THEBACON	Acetyldihydrocodeinone (acetylatedenol form of hydrocodone)
98	კლონიტაზენი CLONITAZENE	2-(p-chlorobenzyl)-1-diethylaminoethyl-5-nitrobenzimidazole
99	კოდეინი CODEINE	3-methylmorphine (derivate of morphine, alkaloid contained in opium & poppy straw) (მორფინის წარმოებული; ალკალოიდი, რომელსაც შეიცავს ოპიუმი და ყაყაჩოს ნაშვია)
100	ლევორფანოლი LEVORPHANOL	(-)-3-hydroxy-N-methylmorphinan
	მეთადონი	6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanone



101	METHADONE	
102	მორფინი MORPHINE	the principal alkaloid of opium and of opium poppy (ოპიუმის ან ოპიუმის (დამამინებელი) ყაყაჩოს ძირითადი ალკალოიდი)
103	ნალბუფინი NALBUPHINE	(-)-17-(cyclobutylmethyl)- 4,5α-epoxymorphinan- 3,6α,14-triol hydrochloride
104	ნიკოდიკოდინი NICODICODINE	6-nicotinyldihydrocodeine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
105	ნიკოკოდინი NICOCODINE	6-nicotinylcodeine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
106	ნიკომორფინი NICOMORPHINE	3,6-dinicotinylmorphine (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული)
107	ნორკოდინი NORCODEINE	N-demethylcodeine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
108	ნორმეთადონი NORMETHADONE	6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-hexanone
109	ნორპიპანონი NORPIPANONE	4,4-diphenyl-6-piperidino-3-hexanone
110	ორიპავინი ORIPAVINE	3-O-demethylthebaine
111	ოპიუმი სამედიცინო OPII MEDICINALIS	
112	ოქსიკოდონი OXYCODONE	14-hydroxydihydrocodeinone (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული)
113	პანტოპონი PANTOPON	
114	პაპავერიტუმი (ომნოპონი)	



114	PAPAVERTUM (OMNOPON)	
115	პეთიდინი PETHIDINE	1-methyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester
116	პენტაზოცინი PENTAZOCINE	(2 <i>R</i> *,6 <i>R</i> *,11 <i>R</i> *)-1,2,3,4,5,6-hexahydro-6,11-dimethyl-3-(3-methyl-2-butenyl)-2,6-methano-3-benzazocin-8-ol
117	პირიტრამიდი PIRITRAMIDE	1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-(1-piperidino)piperidine-4-carboxylic acid amide
118	პროპირამი PROPIRAM	N-(1-methyl-2-piperidinoethyl)-N-2-pyridylpropionamide
119	რაცემორფანი RACEMORPHAN	(±)-3-hydroxy-N-methylmorphinan
120	რემიფენტანილი REMIFENTANIL	1-(2-methoxycarbonyl-ethyl)-4-(phenylpropionylamino)-piperidine-4-carboxylic acid methyl ester
121	სუფენტანილი SUFENTANIL	N-[4-(methoxymethyl)-1-[2-(2-thienyl)ethyl]-4-piperidyl]propionanilide
122	ტილიდინი TILIDINE	(±)-ethyl-trans-2-(dimethylamino)-1-phenyl-3-cyclohexene-1-carboxylate
123	ტრამადოლი TRAMADOL	(1 <i>R</i> ,2 <i>R</i>)- <i>rel</i> -2-[(dimethylamino)methyl]-1-(3-methoxyphenyl)cyclohexanol
124	ტრიმეპერიდინი TRIMEPERIDINE	1,2,5-trimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine
125	ფენადოქსონი PHENADOXONE	6-morpholino-4,4-diphenyl-3-heptanone
126	ფენაზოცინი PHENAZOCINE	2'-hydroxy-5,9-dimethyl-2-phenethyl-6,7-benzomorphan
127	ფენეტლინი FENETYLLINE	7-[2-[(α-methylphenethyl)amino]ethyl]theophylline
128	ფენმეტრაზინი PHENMETRAZINE	3-methyl-2-phenylmorpholine
	ფენტანილი	7-[2-[(α-methylphenethyl)amino]ethyl]theophylline



129	FENTANYL	
130	ფოლკოდინი PHOLCODINE	morpholinylethylmorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
131	ჰიდროკოდონი HYDROCODONE	dihydrocodeinone (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
132	ჰიდრომორფინოლი HYDROMORPHINOL	14-hydroxydihydromorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
133	ჰიდრომორფონი HYDROMORPHONE	dihydromorphinone (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული)
134	ჰიდროქსიპეტიდინი HYDROXPETHIDINE	4-m-hydroxyphenyl-1-methylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester
135	დექსტრომეტორფანი Dextromethorphan	(4bS,8aR,9S)-3-methoxy-11-methyl-6,7,8,8a,9,10-hexahydro-5H-9,4b-(epiminoethano)phenanthrene

შენიშვნა: სიაში შეტანილი ნივთიერებები წარმოდგენილია მათი საერთაშორისო ან/და ქიმიური დასახელებებით. სიებს ავტომატურად მიეკუთვნება მასში შეტანილ ნივთიერებათა, მარილების, ეთერების, ფუძეებისა და იზომერების წამლის ფორმები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატები, ნებისმიერი სავაჭრო დასახელებებით. სიებს, ასევე, მიეკუთვნება მასში შეტანილ ნივთიერებათა ანალოგები.

დანართი №3

ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობისათვის ნებადართული ფარმაცევტული პროდუქტების ჩამონათვალი

ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობისათვის ნებადართულ ფარმაცევტულ პროდუქტად განისაზღვროს:

- ა) მეთადონის ჰიდროქლორიდი (methadone hydrochloride);
- ბ) კომბინირებული პრეპარატი - ბუპრენორფინი, ნალოქსონი (comb. dru-Buprenorphine,Naloxone).

